



**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორს
ქალბატონ რუსუდან სუხიშვილს**

შესავალი

ხარისხის მენეჯერის ვალდებულებას წარმოადგენს ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს დირექტორს. კოლეჯში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობს სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად შეფასება/გადახედვა გაუმჯობესება/დაგეგმვა/განხორციელების უწყვეტი ციკლით და ვზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე.

განხორციელებული ღონისძიებები

- ახალი COVID 19 ის პანდემიის გამოწვევებს 2021 წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სათანადოს გავართვით თავი . შემუშავებული ონლაის სასწავლო მიდგომებმა ხელი შეუწყო მოქნილად განხორციელებულიყო სასწავლო პროცესი. გადამზადდა პროფესიული მასწავლებლები კომპიუტერულ უნარ ჩვევებში რამაც გაადვილა ონლაინ სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში განხორციელებს.
- კოლეჯი აფართოვებს პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობას .გაფორმდა ხელშეკრულება წამყვან ფარმაცევტულ სააფთიაქო ქსელთან შპს ავერსი , ასევე დაიდო ხელშეკრულება მეან-გინეკოლოგიურ კლინიკასთან რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კურსის გავლას ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ჩართულობა პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავების პროცესში.დაიდო ხელშეკრულება კომპანია ნუტრიმაქსთან . კომპანია ხელს შეუწყობს კოლეჯის ვეტერინარიის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ცოდნის, უნარების გაზიარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას. გაფორმდა მემორანდუმი სსიპ კოლეჯ ოპიზართან რომელიც ითანამშრომლებს კოლეჯ ამაგთან ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის განვითარებისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესების საკითხში.
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად განისაზღვრა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა და კოლეჯმა გაზარდა კონტიგენტი 30 ადგილით (სულ 60 ადგილი). გაფართოვდა პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობა დაიდო ხელშეკრულება შპს კოცო/ი/მ მამია ბუგულიშვილი შპს გორ-ვეტი . მოზიდულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირები დარგის მიმართულებით.
- დამსაქმებლის ინიციატივით განხორციელდა კვლევა ჯანდაცვის სფეროში სტომატოლოგიური კლინიკებში ასისტენტის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ. ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი და კვლევის შედეგად მოზიდულ იქნა დარგის შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგის ასისტენტი“ ხელმძღვანელობდი პროგრამების დამატების პროცესს , სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ვიზიტის დროს.

- ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის ჩემს მიერ დაევაღათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს საჭირო რესურსის კვლევა რაც დირექტორის მიეწოდა ანგარიშის სახით. წამოდგენილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე წინადადებები და რეკომენდაციები.
- პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ხარისხის უზრუნველყოფის უმთავრესი ამოცანაა. ჩემს მიერ დაიგემა და ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებები როგორცაა: კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა განვითარება, ახალ პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება პროფესიული სწავლებისა და შეფასების სისტემის გაცნობა
- ჩემს მიერ დაიგემა 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად გამოკითხვების ორგანიზება მონაცემების ანალიზის შეგროვება და დირექტორთან წარდგენა. ასევე კვლევები და ანგარიშები განთავსებულია ვებ გვერდზე და გაზიარებულია დაინტერესებულ პირთათვის.
- სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და ზრუნვის მიზნით მოწვეულ იქნა ტრენერი რომელმაც პროფესიულ მასწავლებლებს გააცნო თანამედროვე მეთოდები და მიდგომები. 2021 წლის კერძო კოლეჯების მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე, პროფესიულმა მასწავლებელმა ნანა ალავედრაშვილმა და პროფესიულმა სტუდენტმა ალექსანდრე ვათიაშვილმა წარადგინეს პროფესიული განვითარების კუთხით პროექტები რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და გადაეცათ სერტიფიკატები. საგანმანათლებლო საქმიანობის და რესურსების შეფასების მიზნით რეგულარულად ვახორციელებ მონიტორინგს სასწავლო ცხრილებისა და დასწრების კუთხით.
- სამოქმედო გეგმის თანახმად ხელმძღვანელობდი ვერიფიკაციის პროცესს. 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე ჩატარდა ორი ვერიფიკაცია . გაიცა რეკომენდაციები. გამოვლინდა შედეგები რამაც ასახვა პოვა შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა და განვითარების მიმართულებით და შეიცვალა შეფასების ინსტრუმენტის ფორმა ასევე დაევაღათ პროფესიულ მასწავლებლებს მოდულის დასრულების შემდეგ უწყისთან ერთად წარადგინოს ანგარიში სადაცა ასახული იქნება მასალა ნედლეულის ხარჯვისა და შედეგების ანალიზი.
- 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები ფარმაცია(სააფთიაქო) და საექთნო განათლება შევიდა ცვლილება . ხელმძღვანელობდი პროგრამის ადაპტირების პროცესს გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

ხარისხის მენეჯერის 2021 წლის პრიორიტეტები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა
 პროფესიული პროგრამის ზღვრული ოდენობის დადგენა
 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტომატოლოგის ასისტენტის დამატება

გასაუმჯობესებელი მხარე:

კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად კვლევის დაგეგმა
 გაკვეთილების ხარისხის ხშირი მონიტორინგი;
 პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების დადგენა (ინდივიდუალური მიდგომები)

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
ხარისხის მენეჯერი
დვალი ნინო

ს. დ. ა. მ.